სამშობლო

კვირა,
7 თებერვალი
წელიწადი II.

ფასი: წლიურად 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 80 კ. [illegible] 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. [illegible] ტიბით 7 მ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანა [illegible] 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 280 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 280

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ტელეფონი № 76.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„სამშობლო“-ზე

ქ. ქუთაისი. წელიწადი მეორე. ქ. ქუთაისი.

გაზეთი გამოვა

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურად გაზეთი ეღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურად 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. თ. ცინცაძე.**

სამშაბათს, 9 თებერვალს, ქუთაისის რომის კათოლიკეთა ეკლესიაში, დილის სრულ 9 საათზე, გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი კოლეჟსკი სეკრეტარის

ალექსანდრე პავლეს ძის ჩილაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულდათუთქულნი დები, პავლე ჩილაშვილის ასულნი: სოფიო რუხაძისა, ეკატერინე არაზოვისა, ვერა ჩილაშვილი, კონსტანცია საფაროვისა და სალომე ჯულაბოვისა; სიძე სტეფანე დავითის ძე ჯულაბოვი; დისწულები: გიორგი, იაკობ და სიმონია იოსების ძენი და ასული არაზოვები, ანტონი, კონსტანტინე, ნატალია და ეკატერინე სტეფანეს ასულნი და ძენი ჯულაბოვები.

36 1—1

---

3 თებერვალს, ქ. სოხუმში გარდაიცვალა ქალაქის ხმოსანი

იაკობ გიორგის ძე ჩიმაკაძე,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს: დედა ირინე, შვილები ვლადიმერი, ოლღა, ნადეჟდა, ლიდია და რძალი ზინაიდა. ცხედარს მოასვენებენ ქუთაისის სადგურზე კვირას, 7 თებერვალს 10$\frac{1}{2}$ საათზე, საიდანაც წაასვენებენ საკუთარ სახლში გრუზინოვის ქუჩა.

ელისაბედ ჩერქეზიშვილის იუბილე.

წარმოდგენა № 51

ქალაქი ქუთაისი. **„ქართული დრამა“** ქალაქის თეატრი.

კვირას, 7 თებერვალს გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენა.

1

ორი ობოლი

მეხუთე მოქმედება.

2

დედის ერთა

ვოდ. ერთ მოქ. ვ. გუნიასი.

3

რაც გინახავს ველარ ნახავ.

პირველი მოქ. ა. ცაგარლისა.

4

მისალმება.

ადგილების ფასი საბენეფისოა.

დასაწყისი საღამოს 8 ს.

რეჟისორი **შ. დადიანი.**

ადმინისტრაცია „ქართ. დრამ.“ ამხ.-სა.

ანონსი: მსახიობების: ბერძენიშვილის, კავთელის. ლოლობერიძის, ჩაგუნავას ჩხიკვაძის ხონელის, მოკარნახე ი. ქლენტის და ადმინისტრატორ ზ. ურუშაძის საბენეფისოდ **„პარიზის ღარიბ-ღატაკნი“**

---

10 თებერვალს ახალ-ამწეოი **პ. მიქაძის** რედაქტორობით ქ. ქუთაისში გამოვა ლიტერატურული ალმანახი.

„ახალი ცისკარი.“

ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით. ალმანახში მოთავსებული იქნება შიო მღვიმელის სურათი.

მასალები მიიღება გაზ. „სამშობლოს“ რედაქციაში **ლადო მაჭავარიანთან.**

ალმანახი იქნება 16 გვ. და ეღირება 10 კ.

35 6—3

ელექტრო **„რადიუმი“** თეატრი

ორშაბათიდან, 8 თებერვლიდან ნაჩვენები იქნება

პრანჭვა-ბრეხა დიდი ქალაქისა.

დრამა 5 ნაწ., მოზჟუხინისა და ლისენკოს მონაწილეობ.

ელექტრო **„ამპირი“** თეატრი

შაბათს, 6 და კვირას 7 თებერვალს, მხოლოდ 2 დღით ახალი პროგრამა.

საფრანგეთის გრენადერები. სანახაობა.

მოსკოველი მგელი. დრამა 5 ნაწილად.

ახალ დროის შემთხვევა მოსკოველ მეძავის ცხოვრებიდან ობოლენსკის და ვირუბოვის მონაწილეობით.

პრენსი უნებურად ემორჩილება. კომიკური.

ანონსი: ორშაბათიდან, 8 თებერვლიდან, განსაკუთრებით მოზრდილთათვის **„ბედნიერების დაბრუნება“**, თანამედროვე დრამა 3 ნაწ. ცნობილ მსახიობების ბ. ბ. წერეთლის, უვაროვისა და რუტსის მონაწილეობით. **„მონებით მოვაჭრე“**, ფარსი 2 ნაწ. რუს. ოქროს სერიიდან, ვოლკონსკისა, გრომოვისა და ვერნერის მონაწილეობით.

განცხადება.

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ თანახმად 1915 წლის 22 ნოემბრის თარიღით უმაღლესად დამტკიცებულ მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა 1 თებერვლიდან 1916 წლ., ომის დასრულებამდე შემოღებულია ბაჟი თეატრებსა კინემატოგრაფებსა და ყველა გასართობ საღამოზე შესასვლელ ბილეთებზე შემდეგის სახით:

ორი შაურიდან ათ შაურამდე ღირებულ ბილეთებზე—2 შაური; ათი შაურ.—1 მან.—1 აბაზი,

შემოსული ბაჟის $^2/_3$ გადაიდება ხაზინის სასარგებლოთ, ხოლო $^1/_3$ დედოფალ მარიამის ურჩევაში მეომ დაწესებულებათა სასარგებლოთ. ამიტომ ამ ბაჟების მიხედვით, 1 თებერვლიდან 1916 წლისა ელექტრო-თეატრ „რადიუმსა“ და „ამპირში“ შესასვლელ ბილეთებზე დაწესებული იქნება შემდეგი ფასი: ლოჟა 17 შაური; 1 ადგილი 15 შაური; 2 ადგილი 10 შაური; მესამე ადგილი 6 შაური; მოწაფეებისთვის მეორე ადგილი 6 შაური; ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 1 აბაზი.

სავაჭრო სახლი

ი. გოკიელოვის შ-ბის

ქუთაისში

ამით ვაცნობებთ პატივცემულ მეაბრეშუმეებს, რომ ახლო მომავალში მივიღებთ ცნობილ

აბრეშუმის თესლს

ხ. ხრისტოდულიდისას.

6—5

საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ გავხსენი სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოება

„რუსეთი“ („როსსია“),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევისაგან.

პირადად მოსალაპარაკებლად ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

კბილის ექიმი **რ. პ. სვანაძის** ასული

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე. თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. **ვსპობ** სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, პირფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილად ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფიანიძისსახლი. თ

ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.

თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

ექიმი **ი. ჩარიძოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. თ.

დოკტორი მედიცინისა-პრივატ-დოცენტ-

ვ. პ. მოსეშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავათმყოფობებით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 ს. და საღამოს 6 ს. 8 ს. გოსპიტლის ქუჩა, № 6. თ.

ექიმი **გაბრიელ იოსების ძე გოკიელის**

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ექიმი **ა. მ. ასათიანი.** განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან ავათმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა დ. ბალახვანის ქუჩის კუთხე, სახ. № 3. თ.

ექიმი **ვ. დ. ნასარიძე** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. დორთქიფანიძის სახლი. თ.

უმაღლეს მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. დვინაზე იაკობშტადტისა და დვინსკის შუა გერმანელებმა ძლიერი სროლა აუტეხეს სად. იიცკალს და სად. ლაკრენსკის ნაწილს, სადგ. ცარგრადს. დვინსკის ნაწილზე გერმანელებმა ხელახლად იერიში მიიტანეს სოფ. გორბუნოვკაზე. გერმანელთა წინა ზანაკებში რუსის მფრინავებმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდეს. გალიციაში, დნესტრზე, სად. მიხალჩეს რაიონში, რუსებმა მოიგერიეს გერმანელთა იერიში.

შავი ზღვა.

ზღვის ნაპირებზე რუსთა მიერ ვიცეს პოზიციების აღების დროს, რუსის გემები მივიდნენ ნაპირებამდე და სროლა აუტეხეს ოსმალთ. გემებზე რამდენიმე დაიჭრა თოფის ტყვიით.

კავკასიის ასპარეზი.

დამატებითი ცნობების თანახმად გამო-

ირკვა, რომ ერზერუმზე იერიშის დროს პირველ ხაზის სიმაგრეებიდან კიდევ 29 ზარბაზანი ჩაიგდეს ხელში. მარტო ერთ ჩრდილოეთ ფრონტიდან ერზერუმიდან 20 ვერსზე (ტაფტიდან) წამოიყვანეს ტყვედ 39 ოფიცერი და 1413 ასკერი. რუსის ჯარები ერზერუმის ციხეში შევიდნენ. ახლა არკვევენ მათს ვინაობას. ერზერუმი ბევრს ადგილას იწვის.

პარიზი. 3 თებერვალი. მთელის ღამის განმავლობაში აღსანიშნავი არა მომხდარა რა. შამპანში ბრძოლით დავიბრუნეთ ზოგიერთი დაკარგული თხრილები.

რომი. 3 თებერვალი. იზონცოს ზემოდ სასტიკი საარტილერიო სროლაა. ზარზლისა და ვოლილის სექტორებში დავანგრიეთ მტრის თხრილები. მტრის აეროპლანების სხვა და სხვა ქალაქში გათარეშების დროს დიდი ზარალი არ მოუყენებიათ. ერთგან ჩვენმა მფრინავმა იფრინა მათი აეროპლანი.

კორფუ. 5 თებერვალი. ავსტრიელთა წყალქვეშა დაიღუპა ფრანგთა ნაღმოსნების მიერ. მთელის კვირის განმავლობაში მათი წყალქვეშა ნავები ენერგიულად მოქმედებდნენ. თუმცა ვერაფერი გააწყეს და სერბიელ ჯართა გადაყვანას ვერ შეუშალეს ხელი. ამბობენ, ამ თარეშობის დროს ზოგიერთი მათი წყალქვეშა კიდევ დაიღუპაო.

სოლუნი. 4 თებერვალი. გამოირკვა, რომ მონასტირის რაიონში მტრის ძალა არ აღემატება ათიათას კაცს, აქედან სამი ათასი გერმანელია, დანარჩენი ბულგარები.

ხაანა. 3 თებერვალი. მცირე აზიაში საშინელი სიღატაკეა. ხორბალი არ იშოვება. მცხოვრებნი ცერცვსა ჰფქვავენ და იმით იკვებებიან. რაც რამე იყო სულ გერმანელებმა წაიღე'ო.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

ენვერ-ფაშას პროტესტი.

როგორც სტამბოლიდან იტყობინებიან კავკასიის საზღვრებზე ოსმალეთის ჯარების დამარცხებამ ენვერს და გერმანელ გენერლებ შორის უთანხმოება გამოიწვია სამხედრო საბჭოში ენვერ-ფაშამ განაცხადა, რომ ოსმალეთის არმიას ახლა გერმანელების მიშველება არ შეუძლია, ვინაიდან მან თავისი საკუთარი ქვეყანა უნდა დაიცვას. ამ მიზნით საჭიროა ახლავე ყველა თავისუფალი ძალები დაუყონებლივ კავკასიის ფრონტზე გაიგზავნოს. „ბულგარეთი, ამბობდა ენვერი, სულ ცოტა ხანია, რაც ომში ჩაერია, მაშინ როდესაც ოსმალეთი აგერ წელიწად ნახევარია, რაც ომობს და სისხლისგან იცლება. ამიტომ ;დე ახლა გერმანელთ ბულგარეთი მიეშველოს და ოსმალთა თავისუფალი ჯარები კი კავკასიის არმიას გაუგზავნოთ“.

მიუხედავათ ასეთი განცხადებისა გერმანელებმა ოსმალეთის ჯარები მაინც დატოვეს ბალკანეთში და სალონიკის წინააღმდეგ გასალაშქრებლათ ამზადებენ.

ერზერუმის დაკავების მნიშვნელობა.

გაზეთი „რეჩი“ სწერს: ერზერუმი თავისი მდებარეობით მცირე აზიის მთავარი გზების ჯვარედინს წარმოადგენს. აქ გადის მთავარი გზა როგორც სტამბოლიდან და ტრაპიზონიდან ისე მესაპატამიიდან და თავრიზიდან; ამიტომ მას უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს მთელი მცირე აზიის ასპარეზისათვის. ერზერუმის დაცემა ოსმალეთის ჯარების მდგომარეობაზე ბალკანეთშიაც იმოქმედებს.

პროკლამაცია სეპარატიულ ზავზე.

დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ოსმალეთის მემკვიდრის, იზზედინის ტრაგიკულმა სიკვდილმა ოსმალეთის მართლ-მორწმუნე მცხოვრებთა შორის. მემკვიდრის სიკვდილი ენვერ-ფაშას მიაწერეს და გერმანიის მოძულე ოსმალები აგიტაციას შეუდგენ.

სტამბოლში აუარებელი პროკლამაცია გაავრცელეს, რომლითაც მართლ-მორწმუნეთ მოიწვევდენ, რომ შეკრებილიყვენ მეჩეთებში და იქ სალოცავ იზზედინის სულის მოსახსენებლათ ელოცათ, შემდეგ შურისძიებით ამხედრებულიყვენ ენვერის წინააღმდეგ. ქვეით პროკლამაციაში სწერია: ოსმალეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო უკვე აღარ არსებობს, და მცირე აზიის სამფლობელონი საფრთხეში არიან ჩავარდნილნი, ვინაიდან რუსის არმია არგიონს უკვე მიუახლოვდა.

„ხალხმა უნდა იცოდეს, სწერენ პროკლამაციაში,—რომ გერმანიამ რუსეთს წინადადება მისცა სეპარატიული ზავი შეკრას მასთან, რისთვისაც იგი მას ოსმალეთის სომხეთს უთმობს და სტამბოლში ბატონობის გაზიარებას პირდება. ხალხმა თავის მთავრობას უნდა გადააბიჯოს და მოწინააღმდეგე ქვეყანას სეპარატიული ზავი სთხოვოს“.

ქრონიკა

რუსეთი.

პურიშკევიჩის თხოვნა.

როგორც ვიცით რუსეთის „პარლამენტის“ წევრები ინგლისში მოგზაურობას ფიქრობენ, რომ რუსეთის მოკავშირე ქვეყანას გაეცნონ და მასთან მჭიდრო კავშირი დაიკავონ. ახლა ეს ცნობილ მემარჯვენე დეპუტატს პურიშკევიჩსაც მოუსურვებია. მასაც უნდა „რუსის ხალხი“ ინგლისს გააცნოს და ინგლისური წესები კიდევ „რუსის ხალხს“ შეაყვაროს.

„მიქელ გაბრიელის რაზმის“ ხელმძღვანელს უნდა, რომ თავისუფლების მოყვარულ ინგლისის ხალხს ხელი გაუწოდოს და „ჟენენსს“ მასთან ერთად შეევედროს, რომ გამარჯვება მოკავშირეებს მომადლოს [illegible].

რკინის გზაზე.

ცნობით აუწერელი ამბები ხდება ამ ჟამად რკინის გზაზე. უმთავრეს სადგურებზე, მაგალითად, როგორიც არის თბილისი ერევანი და სხვა. რკინის გზის კასაში იმდენ ბილეთს ჰყიდიან, რომ მგზავრებს შორის ნახევარიც ვერ შოულობს ადგილს, ეს იწვევს დიდ აყალმაყალსა და ცემა ტყეპას კონდუქტორები, უმეტეს წილად მეძაბიო ხალხს მატარებლის საფეხურიდან ხელის კვრით და ძირს გადაყრით უმასპინძლდებიან.

მგზავრობის დროს მატარებელში სრულიად არ შემოდის კონტროლი, ამიტომ კონდუქტორი მეტად უზრდელად ექცევა მგზავრებს. საჭიროა რკინის გზის სამართველომ ყურადღება მიაქციოს რკინის გზის მოხელეთა უმგვანო საქციელს.

უთანხმოება ლიბერალთა შორის.

პროგრესიული ბლოკის ბიურო სახელ. სათათბიროში წარმოსათქმელ დეკლარაციას იმუშავებს. პროგრესისტებმა მოითხოვეს, რომ პროგრამის მთავარ მუხლათ პასუხისმგებელ სამინისტროს მოთხოვნა იქნეს აღიარებული. ამას სხვები ეწინააღმდეგებიან და ახლანდელ პირობებში საკმაოდ ცნობენ საზოგადოების ნდობით აღჭურვილი სამინისტრო წამოაყენონ. კადეტები იმასაც დასძენენ, რომ პასუხის მგებელი სამინისტრო მანამ არ განხორციელდება, ვიდრე, სათათბირო საყოველთაო კენჭის ყრით არ იქნება არჩეული. პროგრესისტები თავის ფრაქციულ დეკლარაციაში პასუხის-მგებელ სამინისტროს მოთხოვნის წამოყენებას მაინც შეეცდებიან.

სახელ. სათათბიროში.

სახელ. სათათბიროს მომავალ სხდომაზე მთავრობის მხრით დეკლარაციით გამოვლენ: პრემიერი შტიურმერი, გარეშე საქმეთა მინისტრი საზონოვი და ბოლოს სამხედრო მინისტრი, პოლივანოვი.

ცენტრალურ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის მუშათა ჯგუფი.

იმის გამო, რომ ახლო მომავალში სამხედრო სამრეწველო კომიტეტების წარმომადგენელთა სიეზდი უნდა გაიმართოს, ცენტრალურ კომიტეტის მუშათა ჯგუფმა გადაწყვიტა თავის ამრჩევლებს თავისი თვენახევარი მოღვაწეობა-მოქმედების ვითარება გააცნოს. ამ მიზნით იგი გამოსცემს ანგარიშს, რომელშიაც ყველა მისი გამოსვლები, რომლებიც შეეხებოდენ როგორც საზოგადო საკითხებს, ისე კერძოთ მუშათა ცხოვრებასაც, სავსებით აღწერილი იქნება.

სახელ. სათათბირო.

როგორც უკვე იუწყებოდენ, პირველი სხდომა სახელმწიფო სათათბიროსი მოხდება 9 თებერვალს დღის 2 საათზე. მთელი ამ დღის სხდომა ეძღვნება იმ დეკლარაციებს, რომლებითაც გამოვლენ შტიურმერი, საზონოვი და პოლივანოვი, მხოლოდ მეორე სხდომა სათათბიროსი მოხდება 13 თებერვალს, სადაც განსახილველად წარმოადგენენ სხვადასხვა საკითხს. საჭიროდ სთვლიან სამხედრო ცენზურის შესახებ კანონპროექტის განხილვას.

შტიურმერი და როძიანკო.

როძიანკომ შტიურმერს წერილით შეატყობინა: ამჟამად იმ საქმის საბუთები, რომლის განხილვაც გასულ წლის მუშაობის დროს ვერ მოხერხდა უკან უნდა იქნას წაღებული ზოგიერთი ცვლილების შესატანადაო. როგორც იტყობინებიან, ამაზე შტიურმერი დათანხმებულა.

სახელმწიფო საბჭოში.

4 თებერვალს, შესდგა სხდომა სახელმწიფო საბჭოს მემარცხენე ჯგუფისა მომავალ სესიაში მუშაობის შესახებ. სხვათა შორის, დაუმზადებიათ პასუხი მთავრობის დეკლარაციაზე.

ქუთაისი, 7 თებერვალი.

უღრმესი თავბედობა. როდესაც სახელოვანი კავკასიის მხედრობის საარაკო თავგანწირულებამ არზრუმის მიუვალი ბჯენი შეანგრია, მთელი რუსეთი სადღესასწაულოთ მოირთო.

ზეიმს მიეცა საქართველოს დედა-ქალაქი თბილისიც, რომელიც ამ ერთი საუკუნის წინად, თავის ნებით და არა ძალდატანებით შეუერთდა რუსეთს და მით გაუღო მას სრულიად კავკასიისა და მცირე აზიის კარები.

დიდ რუსეთთან შეერთების შემდეგ, ქართველი ერი შეუდარებელის თავგანწირულებით ემსახურება საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებში რუსეთის მფლობელობის დამყარების საქმეს.

ქართველთა მსხვერპლს რუსეთისთვის უნაყოფოდ არ ჩაუვლია.

თბილისის გაზეთები გადმოგვცემენ, რომ როდესაც თბილისის მკვიდრნი ქალაქის გამგეობის წინ შეკრებილან სასიხარულო ამბის გასაგონათ, ქალაქის მოურავი გამოსულა და ხალხისთვის სიტყვით მიუმართავს...

საქართველო რუსეთის განუყოფელი ნაწილია, მრავალ საუკუნოებით მასთან სულიერად შეკავშირებული. სახელმწიფო ენა რუსეთის იმპერიაში რუსულია და ამ ენაზე, სახელმწიფოს კანონების ძალით, სწარმოებს
ლური საქმიანობა და ამ ენაზე
ლებენ თავიანთ
ლური დაწესებ
ბანი.

თბილისის მოურავი ბ. ხატის
პირველი სიტყვით მიმართავს ხალ
სახელმწიფო ენაზედ... იქნებ
რომ მან გადალახა წესი, რომ
რულო ამბავი საქართველოს დედა
ქის მკვიდრთათვის ქართულ ენა
ცნოო, არა, ამ ოფიციალურმა
მრავალ ერთან ქალაქის წარმომადგ
შეკრებილ ხალხს მიმართა არა
ლათ—არა ქართულად, რომელიც
თბილისის მცხოვრებთა დიდ უმ
სობას, არამედ **სომხურად**, რაც
თბილისელ სომხების დიდ უმ
სობისთვის—გაუგებარია. სომხური
ყვის შემდეგ წარმოუთქვამთ სიტყ
ულ ენაზედ. და ქართულათ არაფ
უთქვამს რა.

ეს აღმაშფოთებელი და ქართ
შეურაცხმყოფელი თავხედობაა და
ფარული გულისთქმა!...

* *

სოხუმის პროექტები. დღევანდელ ჩვენს გ
მოთავსებულია მ
იმ კომისიისა, რომ
ამოურჩევია სოხუმის საბჭოს სა
სოხუმის პროექტების, გარშემო
ხმაურობის გამოსარკვევად. მიაქ
მას მკითხველის ყურადღებას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ
დესაც სოხუმის საბჭომ კომისია ამო
იმას პრესსასთან პოლემიკა და პრეს
ცდომების გამორკვევა კი არ ჰქონდა
მიზნათ, არამედ სურვილი ჰქონდა
გამოკვლევისა თუ რამდენად შეეფე
სოხუმის ოლქის მკვიდრთა ინტერ
დაკმაყოფილება, იმ შუამდგომლობისა
მელიც ქალაქის გამგეობას არამც
სოხუმის ოლქის მკვიდრთა დაუკით
არამედ თვით ქალაქის საბჭოსგან
რულად აღუძრავს.

თუ სოხუმის საბჭოს სურდა კ
საშუალებით რუსეთის ბატონობა
ტკიცდა კავკასიასა და მცირე აზიაში
მისი ძლიერება გზას იკაფავს აზიის
გულისკენ და ამ უმაგალითო ომის დ
საც ვერავითარი ძალა ვერ უმკლავ
ბრძოლაში გამობრძმედილ ძლევა მო
კავკასიის მხედრობას.

ჩვენი მხედრობის საარაკო გამარჯ
ვდღესასწაულობთ, წარსულის მოგონ
ვამაყობთ და მომავალის იმედებით
ფრთოვანებული ვართ.

ჩვენ გვინდა დავივიწყოთ რომ
უჯდება დიდ რუსეთს და მით უმ
პატარა საქართველოს ეს დღესასწაუ
რომ საერთო აღფრთოვანება ვერ

დღესასწაული.

(ეკ. ჩერქეზიშვილის იუბილეს გამო).

ნაზი ყვავილი, კოლხეთის მთის
    მაისობს ლხენით;

და პირმშვინარობს კეკლუცი სივრცის
    სიამის დღენით.

რიონი ბრძნულად მთით საუბრობს
    მუსიკობს ენა,

მგოსნის ცაურ ჰანგს სიმებს უწყობს
    მზის აღმაფრენა.

თეატრის სივრცე შეფოთლა
    ყვავილთ სილურჯით.

სცენის სიღრმეში სიო შესდგა
    ნელის ჩურჩულით.

და დღეს კოლხეთი სხივ-ცისკრობს
    დღესასწაულით,

ივერიელ ქალს ერი ამკობს
    მზის სამკაულით.

ლადო მაჭავარიანი.

სოციალური უტოპიები.

(წერილი მეხუთე).

იმ აზრს, რომ ცალმხრივი მსოფლმხედველობა შობს პესიმიზმს, ამტკიცებს, როგორც თანამედროვე, აგრეთვე ძველი ცხოვრება და ლიტერატურა.

მაგრამ ამ წერილში ჩვენ შევეხებით ისტორიის მხოლოდ ერთ ხანას და ვიმოწმებთ ორ მწერალს: ლ. ლანსონსა (იხ. მისი „საფრანგეთის ლიტერატურის ისტორია“) და ჰენრიხ ჰეინეს.

მწერალთა და ისტორიულ ხანათა დახასიათებანი უცვლელად მაქვს ნასესხები ხსენებულ ავტორებისაგან. ზოგიერთი დასკვნა კი, რომელიც გამომდინარეობს მათ მიერ აღნიშნული სოციალურ ლიტერატურული ფაქტებიდან, მეკუთვნის საკუთრად მე.

ფრანსუა რენე-დე შატობრიანი დაიბადა 4 სეკ. 1768 წლისა, გარდაიცვალა 4 ივლისს 1848 წლისა, ე. ი. იცოცხლა 80 წელი.

ის წარჩინებული ბრეტონელთა გვარის ჩამომავალი და მდიდარი მამის შვილი იყო.

დაიბადა და გაიზარდა სენმალოში. ბუნება აქ მკაცრი და მწირი იყო. ბავშვი ტყე-ღრეებში თითქმის მარტოობაში ატარებდა დროს. ბავშობის ამხანაგად ერთად-ერთი და ჰყავდა, რომელიც ძლიერ უყვარდა. ღამით მას განმარტოებულ შენობაში ეძინა. მამა მისი პირქუში და სასტიკი იყო.

მცირე ხანს მეფის კარზე მსახურობდა. მამის სიკვდილის შემდეგ 1791 წელს ამერიკაში იმოგზაურა, ნახა ნიაგარი, დაეშვა მდინარე ოგიოზე კენტუკის შესართავამდის, ნახა მისსისიპი, ფლორიდა.

ამერიკიდან რომ დაბრუნდა, შეირთო მდიდარი, კეთილი და მტკიცე ხასიათის ქალი, რომელიც თავის დიდებულ ქმარს ერთგულ ამხანაგად გაუხდა.

15 ივლისს 1792 წელს დროებით გაეყარა ცოლს და წავიდა საზღვარგარედ პრინცთა ჯარში. ტიონვილთან დაიჭრა და ბელგიით ინგლისში წავიდა, სადაც დიდი გაჭირვება გამოიარა.

ამასობაში საფრანგეთის რევოლიუციაც დაცხრა. შატობრიანი საფრანგეთში დაბრუნდა და 1801 წელს თავისი „ატალა“ გამოსცა, 1802 წელს კი „ქრისტიანობის გენია“, რომელმაც თანამედროვე აზროვნობას ახალი მიმართულება მისცა.

ნაპოლეონს უნდოდა იმპერია შატობრიანით დაემშვენებინა და მას ჯერ რომის საელჩოს მდივნობა უბოძა, შემდეგ კი მინისტრობა ვალეში. მაგრამ შატობრიანი, ენგიენის ჰერცოგის დახვრეტით შეძრწუნებული, 20 მარტს 1804 წელს სამსახურიდან გადადგა. 1806 წელს მოიარა საბერძნეთი, იერუსალიმი, კართაგენი, გრანადა და დაბრუნდა საფრანგეთში. იმავე დროს ნაპოლეონის ბძანებით შატობრიანის წერილის დაბეჭდვისათვის დაიკეტა „Mercure“.

1809 შატობრიანმა გამოსცა „წამებულნი“ და მცირე ხნის შემდეგ „Itineraire“.

1809 წელს მისი ბიძაშვილი დახვრიტეს და შატობრიანი კიდევ უფრო გადაეკიდა იმპერიას. მან ნაპოლეონს მედიდური წერილი მისწერა, რომელიც შეურაცხყოფილმა იმპერატორმა ცეცხლში ჩააგდო.

შატობრიანი აირჩიეს აკადემიის წევრად, მაგრამ არ წაიკითხა თავისი მოხსენება, ნაპოლეონის მიერ შესწორებული. ელოდა სასჯელს, მაგრამ მისი დასჯა არ მოინდომეს (1811 წ.).

შემდეგ ის ემსახურებოდა ლუი მე-18-ს და კარლ მე-10 ს. იყო ელჩად, მოციქულად, პოლიტიკურ მწერლად. მაგრამ თავს არ იმცირებდა, სძულდა კარის-კაცები და ხელს უშლიდა მინისტრებს.

მოხუცებაში განმარტოებით ცხოვრობდა, როგორც სასომიხდილი დონ-კიხოტი. ამ დროს მას ეხმარებოდა მისი ერთგული მეგობარი, ქალბატონი რეკამიე, რომელიც მის გარშემო თავის დარბაზში მაშინდელ გამოჩენილ პირებს უყრიდა თავს.

შატობრიანი გარდაიცვალა 4 ივლისს 1848 წელს და მისი ანდერძის თანახმად სენ-მალოს ახლოს გრან-ბეს კლდეზე იქმნა დაკრძალული: მას უნდოდა, რომ მისი ნეშთის ახლოს ტალღათა ის ხმაურობა, რომელიც მის ბავშობას ნანინას ეუბნებოდა, არასდის არ შეწყვეტილიყო.

შატობრიანს—მარტო ხელი სული ჰქონდა. მას თავისი თავი ცენტრად მიაჩნდა და ქვეყანა და გარეშემონი კი—მხოლოდ მისი განდიდების საშუალებად. სიყვარული უხაროდა, მაგრამ თავის საყვარელსა და მეგობარში ნამდვილ ადამიანებს ვერა ხედავდა და თავდადების გრძნობა აკლდა. და ლეგიტიმისტურ პარტიას უფრო პატივმოყვარეობისათვის ემსახურებოდა.

მისი დამახასიათებელი თვისება—ამპარტავნება იყო.

სხვის გულში ვერ იმზირებოდა და თავის თავს—უმაღლეს არსებად აღიარებდა. და ეგონა, ვითომ მისი დარდი სულ სხვა იყო, როგორიც არავის არაოდეს გულში არ ეტარებია! და თავის თავს კაცთა შორის—წამებაში რჩეულ მსხვერპლად სთვლიდა.

აი ნიმუშები მისი ამპარტავნებისა: „ჩემმა წერილმა“ შესძრა საფრანგეთი“, „ჩემმა წიგნაკმა უფრო არგო ლუი მე-18-ს, ვიდრე ათიათასიანმა ჯარმა“ („ბონაპარტე და ბურბონები“), „მე დავიღრიალე, როგორც ლომმა და ბ. ვილლელი დამორჩილდა“ და სხ.

თავის დღეში ადგილს არ ითხოვდა, თუ არა სთხოვდენ.

იმავე დროს მოქმედების ენერგია არ ჰქონდა და ოცნების სამეფოში ცხოვრებდა.

აქედან წარმოსდგა მისი უზომო მოწყენილობა, სევდა, ხანგრძლივი მოქანარება, ამაოების მწარე გრძნობა.

მეორე მხრით ამპარტავნება ნებას არ აძლევდა [illegible] თავის სევდის ნამდვილი მიზეზი, რომელსაც განე
დებდა.

თავისი „მემუარების“ პირველ ნაწი
ის განგებ აზვიადებს ცხოვრების და
რობას, კაცთა უსამართლობასა და სა
თარ გულის-თქმათა უკუღმართობას,
დგან ამ გაზვიადებაში, მეტადრე
თაისადმი საყვედურში პოულობდა
მოვნებას.

მუდამ ბედს უჩიოდა და იმავე
მის ხმაში მუდამ მოწყენილება და
რება მოისმოდა.

ამგვარად ხასიათის სიმტკიცესთან
თად მას კრიტიკული ნიჭიც აკლდა.

მაგრამ შატობრიანი—დიდი ქვე
გრძნება-მახვილობით მომადლებული

მაგალითად, კარლ X მრჩეველთა
მან უკეთ გაიგო რევოლიუციის
შექმნილი მდგომარეობა: სახელმ
მიწების მყიდველთა უზრუნველყო
პრესის თავისუფლებისა და სხ. აუც
ბლობა.

და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნე
ვანია, მას უდიდესი სამხატვრო
მეტყველების ნიჭი ჰქონდა. მაგრამ ის ხა
სახეებსა და არა ქმნიდა იდეათ. ის
არტისტი და არა მოაზრე.

მის თხზულებათა შორის ყველაზე
ოო ღირსშესანიშნავი არიან:

1) „ქრისტიანობის გენია“ (1801
რომელიც ქრისტიანობის აპოლ
(ქებათა ქებას) წარმოადგენს. იდე
მეცნიერული მხარე ერთობ კოჭლობ
მაგალითად, რით ასაბუთებს ღვ
არსებობას: „რა მშვენიერად არის გა
თებული ფრინველთა ბუდეები! მაშასა
მე ღმერთი არის!“ „ნიანგი სდებს კვერ
როგორც ქათამი; მაშასადამე ღმერთი არ
და სხ. მაგრამ მაგიერად თხზულე

რაც იმ გლოვას, რომელიც ბევრის გულში დაიბადება.

და ასეთს დროს ჩვენ ვერ მოვითმენთ, ვერ დავთმობთ ისეთს თავხედობას, რომელიც ჩვენ თავმოყვარეობას ლახავს და ეროვნულ გრძნობებს შეურაცხჰყოფს. აღვნიშნა მხოლოდ ის, რომ ქართულ პრესაში სოხუმის გამგეობის პროექტები სრული სისწორით არ იყო აღნიშნული, ვინ შეიძლება მიზანს მიაღწია.

ჩვენ კი გვინდოდა სოხუმის საბჭოსაგან გაგვეგონა მრისხანე სიტყვა იმათ მიმართ ვინც ნამდვილად სოხუმის ოლქის სახელით აწარმოებს ისეთს პოლიტიკას, რომელიც სოხუმის მკვიდრთათვის დამღუპველია.

სალამი ქვირფას სტუმარს!

დღეს, 7 თებერვალს, ქუთაისის საზოგადოება გულწრფელის სალამით მიეგებება დამსახურებულ ქართველ მსახიობ ქალს **ელ. ჩერქეზიშვილს.**

ჩვენს დედა ქალაქ თბილისში სათაყვანებელ მსახიობს უკვე გადაუხადეს პატივისცემა **დღესასწაული.** იმედია, ქუთაისის საზოგადოებაც **ელ. ჩერქეზიშვილის** მისაგებებლად და მის 30 წლის დაუღალავ შრომა-ამაგის დასაფასებლად საკმაოდ მომზადებული დახვდება. ჩვენც ჩვენის მხრივ საყვარელ მსახიობს სალამს მივუძღვნით და ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს სამშობლო სცენის საამაყოდ.

ელ. ჩერქეზიშვილს.

დღეს უსაზღვრო აღტაცებით ზეიმს გიხდის ერი, შენა,
შენ, რომელმაც შეიყვარე ქართველთ წმინდა მელპომენა.
შეიყვარე—და უმწიკვლო სამლოცველო მთელი გრძნობით,
მას არსებით შეეწირე... სული დასწვი მისი ტრფობით.
ყოფნის ქარის ფრთათა ქროლამ ვერ შეგაკრთო, ვერა, ვერა,
რჩეულ გზაზე ნარ-ეკლების ხილვამ ვეღარ შეგაჩერა.
ჰპოვე სულის ნათელ ფიქრთა სწრაფვას გაჰყევ... წინ გასწიე...
დღეს-კი ნატვრა აგისრულდა და მიზანსაც მიაღწიე!..
უკვდავების შარავანდით გამკობს, გმოსავს შენი ერი,
ის წმინდაა—ვით, ძვირფასო, შენი ღვაწლი მშვენიერი.
...და მეც, დედავ, ამ ზეიმზე გიძღვნა რამე მსურს, მწადია,
და აჰა, გიძღვნი ჩემ სიყვარულს, ერმას, მხოლოდ ეს მაბადია.

გ. ანაშვილი.

განცხადება.

გამომცემელი ამხანაგობის „**სამშობლო**"-ს დროებითი გამგეობა პატივისცემით აუწყებს ამხანაგობის წევრებს, რომ დღეს, 7 თებერვალს, სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის დარბაზში, დილის 12 საათზე დანიშნულია ამხანაგობის წევრთა

საზოგადო კრების გაგრძელება.

განსახილველია შემდეგი საკითხები: გამგეობის მოხსენება, ოქმების დამტკიცება, მუდმივი გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ამორჩევა წესდების თანახმად.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ქუთაისის გუბერნატორმა ბ-ნმა პოტულოვმა მეფის მოადგილეს შემდეგი შინაარსის დეპეში გაუგზავნა:

„ჩვენი ძლევამოსილი ჯარის მიერ ოსმალეთის სიმაგრის დაცემის გამო, გადავიხადეთ სახალხო პარაკლისი, რომელზეც აღვამაღლეთ მხურვალე ლოცვები ხელმწიფე იმპერატორისა, თქვენი იმპერატორობითი უმაღლესობისა და კავკასიის ჯარის ვაჟკაცობის სადღეგრძელოდ და კეთილყოფათ; ქალაქ ქუთაისის ყველა სასწავლებლის მოწაფეებმა და მთელი ქუთაისის მცხოვრებლებმა, გამართეს რა დიდებული მანიფესტაცია, მოჰმართეს მე განვმარტო მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის ფეხთა წინაშე უსაზღვრო გრძნობანი სიყვარულისა და ერთგულებისა გაუღმერთებელ მონარქისადმი, უმაღლეს წინამძღოლისადმი რუსეთის ძლიერებისა და უძღვნა თქვენს იმპერატორობით უმაღლესობას უქვეშევრდომილესი მილოცვანი ბრწყინვალე გამარჯვების, რომელიც მოიპოვა კავკასიის ჯარმა თქვენი უავგუსტოესობის ხელმძღვანელობით. ზემო მოხსენებული, მაქვს პატივი უერთგულესათ ვაცნობო თქვენს იმპერატორობით უმაღლესობას.

◆ ჩვენმა რედაქციამ მიიღო პედაგოგიური სამეცნიერო ჟურნალის „განათლების" იანვრის ნომერი 1) ჟურნალში სხვათა შორის დაბეჭდილია „დამატება" შესახებ ქ. შ. წ. კ. გ. ს. კრების დადგენილებისა.

აგრეთვე რედაქციამ მიიღო ჟურნალ „ცხოვრების" მესამე ნომერი. ჟურნალი მთლიანად ეძღვნება **აკაკის ხსოვნას** და სხვათა შორის მოთავსებულია ს. გორგაძის წერილი აკაკი უნივერსიტეტში და გ. თუმანიშვილისა **აკაკის თხზულებანი.**

✦ წერა-კითხვის საზოგად. ქუთაისის განყოფილების 5 თებერვლის გამგეობის კრებაზე დაადგინეს გამოსცენ წიგნი მეფუტკრეობაზე.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ გადიდეს 100000 მ. სახალხო სახლის გასაკეთებლათ ქ. ქუთაისში.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა უკვე ნება დართო ქუთაისის მცხოვრებს სტეფანე ლეკიშვილს გამოსცეს ქართულ ენაზე ორკვირეული ჟურნალი „კოოპერაცია".

★ ორშაბათს 8 თებერვალს, დანიშნულია ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა.

✦ შავი ჭირით ავათ გახდა არქიერის გორაზე პავლე მელაძე და შვილი მისი ნინო, ორივე ავადმყოფი ქალაქის გადამდებ საავადმყოფოში მოათავსეს. როგორც გადმოგვცემს, ეს ავადმყოფობა ჩამოყოლია ტერეზია მელაძეს ს. სალომინაოდან.

✦ სად. ბელაგორის (შორ. მაზ.) მცხოვრებნი დეპეშით სთხოვენ ქუთაისის გუბერნატორს, რომ მათი სახელით შემდეგი უქვეშევრდომილესი გრძნობა გამოსთქვას მეფის მოადგილის წინაშე: ბელაგორის მცხოვრებნი დიდი სიხარულით მიეგებებიან კავკასიის ბრწყინვალე ჯარის მიერ არზრუმის აღებას თქვენი იმპერატორებითი უმაღლესობის მეთაურობით. მრავალი ხალხის, მოწაფეთა და მასწავლებელთა მიერ გადახდილი იქნა პარაკლისი. რათა მიენიჭოსთ საბოლოო გამარჯვება მტერზე.

✦ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თ-დი დ. ო. ნიჟარაძე ორშაბათს, 8 თებერვალს, მიემგზავრება ქ. თბილისს სამსახურის გამო.

✦ ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის არსებულ კურსებზე მოიწვიეს შემდეგი ლექტორები: ქართულ ლიტერატურაში მღ. ს. ლეკეიშვილი, საქართველოს ისტორიაში გიორგი ქუბაბრია, ფიზიკაში ს. შარაშიძე, საზოგადო ისტორიაში ალ. წერეთელი, პოლიტიკურ ეკონომიაში ვლ. ემუხვარი, გეოგრაფიაში სიმონ მჭედლიძე.

◆ ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საზოგადო კრება დანიშნულია 10 თებ. ქ. ჭიათურაში.

✦ კავკასიის მეფის მოადგილის კანცელარიამ განკარგულება დაუგზავნა ყველა მაზრის უფროსებს დაჩქარებით წარუდგინონ ცნობები იმ სახელმწიფო გზებისა რომელსაც შეკეთება ესაჭიროება

✦ 5 თებერვალს ღამით კახიანაურის მცხოვრებს მატრონა ხურ. მკერვალიშვილის ასულს თავს დაესხნენ ავაზაკები, წაიღეს ოჯახური ავეჯეულობა 400 მანეთად ღირებული

✦ ს. კურსების (ოკრიბა) წვრილი კრედიტის საზოგადოებამ გამოიწერა 12 ათასი ფუთი სიმინდი თავის წევრების შეღავათიან ფასებში დასარიგებლათ.

✦ ორშაბათს, 8 თებერვალს, დანიშნულია ქუთაისის საგუბერნიო საქალაქო საქმეთა სამმართველოს სხდომა, გასარჩევია შემდეგი საკითხები: ა) სოხუმის ქალაქის თვითმართველობის უკანონო მოქმედება 1911—1915 წ. ბაზრის დიდი მოედნის გაკეთება; ბ) ამავე ქალაქის გამგეობის შუამდგომლობა, რომ გაიხარჯონ ქალაქის სათადარიგო თანხიდან 50 ათი ათასი მან. ქალაქისათვის საჭირო სანოვაგის შეძენისათვის და გ) ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობის" შუამდგომლობა, რომ თავისუფალი შემოწირულებით დასდგან ვორონცოვის ქუჩაზე აკაკის ბიუსტი.

—

სათეატრო ქრონიკა.

ელისაბედ ჩერქეზიშვილის სადღესასწაულო წარმოდგენა.

დღეს, 7 თებერვალს, ქალაქის თეატრში **ელისაბედ ჩერქეზიშვილის** 30 წლის ქართულ სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავად გამართული იქნება სადღესასწაულო წარმოდგენა წარმოდგენილი იქნება მეხუთე მოქმედება **„ორი ობოლიდან"**. ერთ მოქმედებიანი ვოდევილი **„დედის ერთა"** და პირველი მოქმედება **„რაც გინახავს ვეღარ ნახავ"**, სადაც **ელისაბედ ჩერქეზიშვილი** შეასრულებს უმთავრეს როლებს. წარმოდგენის დასასრულ გაიმართება მილოცვა.

საზოგადოების საყურადღებოდ

ქართულ გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების გამგეობას, რომლის თავმჯდომარე არის ქ-ნ ელენე ჩიქოვანისა, განუზრახავს ერთი მეტად სიმპატიური საქმის მოგვარება. მას გადაუწყვეტია უფასო სასადილოს გახსნა გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთათვის მომავალ სასწავლო წლიდან. მიღებულია კიდევაც ყოველგვარი ზომები ამ საქმის რიგიანი მოწყობისათვის; ზედ-მეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა უდიდეს საჭიროებას წარმოადგენს უფასო სასადილოს გახსნა ჩვენი ღარიბ-ღატაკ ბავშვებისათვის, რომლებიც ვინ არ იცის, რა აუტანელ ნივთიერ გაჭირვებაში იმყოფებიან ამაზე უფრო კარგსა და კეთილშობილურ მიზანს, როგორიცაა მშიერ-მწყურვალ მოწაფეთათვის დახმარების აღმოჩენა, მათი გამოკვება, ვერ დაისახავდა ხსენებული საზოგადოების გამგეობა, რომელიც უზომო მადლობის ღირსია ამ საქმის დაწყებისათვის; მაგრამ უნდა ეხლავე აღვიაროთ რომ სასადილოს გახსნა და შემდეგ მისი შენახვა ერთობ დიდ ხარჯს მოითხოვს და ჩვენი საზოგადოების ფართო ნაწილის დაუხმარებლათ ძლიერ გაჭირდება საქმის რიგიანათ წაყვანა: ამიტომ მოუწოდებთ ყველა მას ვისაც გული შესტკივა ჩვენი მოსწავლე ახალგაზდობაზე შეასრულონ თავის უპირველესი მოვალეობა-გამოიღონ თავიანთი წვლილი, ვისაც რამდენი შეუძლია, და ამნაირად ხელი შეუწყონ ამ დიდი საქმის განხორციელებას.

მოხსენება.

სოხუმის საბჭოსაგან არჩეული კომისიის ნოემბერში მეფის მოადგილესთან წარდგენილი შუამდგომლობის შესახებ.

ქართულ და სომხურ გაზეთებში მოთავსებულმა პოლემიკამ, რომელიც გამოწვეულ იქმნა ქ. სოხუმისაგან აღძრულ შუამდგომლობით, მიზეზი მისცა ზოგიერთ ხმოსნებს 14 დეკემბერს 1915 წელს სოხუმის საბჭოში შეეტანათ შეკითხვა, რომლითაც საბჭოს ყურადღებას აქცევდენ იმას, რომ ამ პოლემიკაში სოხუმის ქალაქის საბჭოს ბრალს სდებენ იმაში რომ:

1) ვითომ სოხუმის ოლქის დასახლებას სცდილობენ სათათრეთიდან გადმო-

---

ისეთი მხატვრული და გულის ამაჩუყებელი სარწმუნოებრივი სურათებია გაფანტული, რომელთაც დიდი გავლენა ჰქონდათ უშუალო სარწმუნოებრივ გრძნობაზე. ამიტომ ხსენებული წიგნი—ძლიერი შემოქმედებითი ნაწარმოებია. ცხადია კი, რომ მას ასეთი დიდი გავლენა არ ექნებოდა, თვით ხალხში რომ სარწმუნოებრივი გრძნობა არ გაძლიერებულიყო, როგორც დიდი რევოლიუციის ურწმუნოების საწინააღმდეგო რეაქცია.

მაგრამ მისი შემოქმედების ნაკლი ის იყო, რომ მას არ შეეძლო გამოეხატა სისწორით მოქმედ პირთა სულიერი ხასიათი, როგორც, მაგალითად რასინს, რადგან არ შეეძლო წარმოედგინა ისეთი სული, რომელიც მის სულს არა ჰგავდა. აგრეთვე ავტორი სრულიად ვერ იცნობდა ქალებს და მხოლოდ მათი გარეგნობა და სინამდვილესთან შეუფერებელი სახეები დაასურათა.

ამიტომ მის თხზულებათა გმირები თვითონ მასვე წარმოადგენენ.

2) „წამებულნი" (1809 წ.) ამ თხზულებაში დასურათებულს მოქმედს პირს—რენეს აწუხებს და სწამლავს არაბუნებრივი სიყვარული დისადმი. ავტორი ცდილობს გაამართლოს ადამიანის ზნეობის ცუდი მხარე და აქედან წარმოშობილი სევდა. აი რას ამბობს რენე ერთს თავის წერილში თავის თავზე: პატარაობიდანვე ჩემი სიცოცხლე სევდით და დარდით გაჟღენთილი იყო, რომელიც მემკვიდრეობით ჩათესლებული მქონდა...

თითოეული ჩემი გრძნობა საწამლავით გამჯდარი იყო... მე ცუდ სიზმარსა ვგავარ. ცხოვრება შობს ჩემში მოწყენილობას, რომელიც მღრღნიდა. რაც სხვას უხარია, მე არ მახარებს... ევროპასა და ამერიკაში მომბეზრდენ ადამიანებიცა და ბუნებაც".

ამგვარივე სევდით არის შეპყრობილი [illegible] „ატალა" (1801 წ.). უსაზღვრო სევდითა და თან თავისი თავის განდიდების სურვილით არის გამჯდარი აგრეთვე ყველა მისი ნაწარმოები.

დასკვნა. როგორც ნათქვამიდან ჩანს, შატობრიანის მსოფლიო სევდა წარმოშვა პიროვნების მიერ სახალხო ცხოვრების უარყოფამ. და ყველაფერმა შეუწყო ხელი, რომ შატობრიანში ამგვარი უარყოფა განსახიერებულიყო.

ერთი მხრით გამეფებული იყო საშინელი რეაქცია, რომელმაც დიდი რევოლიუციის აღთქმანი დაასამარა და მოწინავე საზოგადოების სასოება წარუკვეთა.

მეორე მხრით თვით შატობრიანი რევოლიუციასთან მებრძოლ არისტოკრატიას ეკუთვნოდა.

დაუმატოთ ამას კიდევ მისი თანშობილი ხასიათი და განმარტებული აღზრდა. და მისი უზომო სევდისა და მთქნარების საიდუმლოება ადვილი გასაგები იქნება.

მას მარტოობა უყვარდა. ჰქონდა აგრეთვე უზომო პატივ-მოყვარეობა და საკუთარ „მე"-ს ყველაფერზე უფრო მაღლა აყენებდა.

თვითონ კი არა ცხოვრებდა მეგობართა და საყვარელთათვის, არამედ მოვალედ სთვლიდა მათ ხარკი ეძლიათ სიყვარულით მისთვის, როგორც დიდი პიროვნებისათვის.

ამავე დროს, რადგან მხოლოდ თავის სულში იმზირებოდა, მას აკლდა დაკვირვებისა და კრიტიკის ნიჭი.

მისი ქრისტიანობა—მისტიციზმი იყო და არა ცოცხალი საქმე და და, თუ მისმა „ქრისტიანობის გენიამ" დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მხოლოდ მიტომ, რომ მთელი საზოგადოება ამგვარივე მისტიციზმით იყო შეპყრობილი.

საინტერესოა ანალოგია შატობრიანსა და ახალი ლიტერატურის პესიმისტებსა და ზეკაცებს შორის.

აი, მაგალითად, პშიბიშევსკის გმირი ფალკი. მას თავი ზეკაცად მიაჩნია და უმანკო არსებათა სიყვარულს თავისი სიამოვნების უბრალო დასაკმაყოფილებელ საშუალებად აღიარებს. თავისი მეგობრებისა და საყვარლების ჭირი და ლხინი მას საკუთარ ჭირად და ლხინად არ მიაჩნია. განმარტოებულია, არაფერი საზოგადო საქმე არა სწამს, არავის ღვაწლსა და ამაგს არ აფასებს და მხოლოდ თავისი პიროვნების უმაღლესი დანიშნულების და ზეკაცობას აღიარებს. და, ცხადია, რომ რამდენადაც უნდა აზვიადებდეს თავისი „მე"-ს ღირებულებას, მას წარკვეთილი აქვს სასოება, მისი სული უძირო პესიმიზმის უფსკრულშია ჩაძირული.

ამგვარადვე გაურბოდენ ცხოვრებას სენკევიჩის პლოშოვსკი, ტეტმაიერის რძავინი და სხ. მაშასადამე, მათს პესიმიზმსაც ანალოგიურივე მიზეზი უდევს საფუძვლად.

დავუბრუნდეთ ისევ ძველ დროს.

ერთი შეხედვით გვგონება, ლამარტინსა (დაიბადა 1790 წ., გარდაიცვალა 1869 წ.) და შატობრიანს შორის საერთო არა არის რა.

ლანსონი ასე ახასიათებს ლამარტინის პოეზიას: „ლამარტინს არაფერი არ აჯავრებს: მას უყვარს, სწამს, მისი სული აღფრთოვანებულია; მისი ფიქრები, ბოროტება და სიმახინჯე მხოლოდ მას ეჩვენება, ვინც არა იცის-რა და ვერაფერსა ხედავს. არავინ მასზედ უკეთ არ უგალობდა იმედს, ძმობისა, ერთობისა და საკაცობრიო კოსმოპოლიტიზმის იდეას. 1848 წელს მთელი საფრანგეთის ბელადად შეიქნა და ჰქადაგებდა იმ კეთილშობილ უტოპიას, რომელსაც მთელს თავის სიცოცხლეში გულში ატარებდა.

მაგრამ იგივე ლანსონი ამბობს: „არ შეგვიძლია არ აღვიაროთ, რომ ეს ოპტიმიზმი რყეულ საფუძველზეა აშენებული. ლამარტინი ბოროტებას ამ ქვეყანას უთმობს და მხოლოდ დაუსრულებელ იმედებში ჰპოვებს ნუგეშს. ის ვერა ხედავს სინამდვილეს და ცდილობს ყველაფერში სიკეთე დაინახოს.

ამიტომ მისი სურათები ბუნდოვანია და მკრთალი და მისი პოეზია—ლოცვას ემსგავსება.

ერთი სიტყვით მის პოეზიას ახასიათებს გამოურკვეველი სევდა, გამოურკვეველი სიმბოლიზმი და გამოურკვეველი იდეალიზმი".

აქედან შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს. თვალზე რომ ხელი დაიფარო, ბოროტება არ დაინახო და ყველაფერი ვარდისფრად, იდეალურად წარმოიდგინო, ამგვარი ოპტიმიზმი—იგივე პესიმიზმია. და განუხორციელებელი, ბუნდოვანი, გამოურკვეველი იდეალები და იმედები არაფერს სანუგეშოს არ წარმოადგენს და მხოლოდ ლამარტინისებურ ბუნდოვან სევდასა და სალოცვისებურ მლოცველობას წარმოშობს.

და, თუ გსურს ნამდვილს, სავსე ცხოვრებას ეზიარო, მოძმეთა ჭირი და ლხინი უნდა გაიზიარო, მათი ავი და კარგი, ბოროტება და სიკეთე შეისწავლო და საზოგადო შრომის ულის სიმძიმე უნდა გაინაწილო. ერთი სიტყვით, ვინც ცხოვრებას გაურბის, ის [illegible] ჰგავს ხმის მსხვერპლი შეიქნება, სულ ერთია, რითაც უნდა ინუგეშოს თავი, ოპტიმიზმით თუ პესიმიზმით.

ამასვე ამტკიცებს ალფრედ დე-ვინის (დაიბადა 1797 წ., გარდაიცვალა 1863 წ.) სტოიკური პესიმიზმი და ალფრედ დე-მიუსსეს (დაიბადა 1810 წ., გარდაიცვალა 1857.) სასოწარკვეთილების გამომხატველი პოეზია.

მაშასადამე, პესიმიზმი, უსაზღვრო სევდა და მწუხარება—ცალმხრივი შეხედულობისა და ცალმხრივი გრძნობის შედეგია. ამ სენით მხოლოდ ის არის შეპყრობილი, ვინც ნამდვილ ცხოვრებას შორდება და შორიდან უყურებს. და საღი, სრული, რეალური გრძნობა და შეხედულობა მხოლოდ მაშინ შეგვიძლია მოვიპოვოთ, როდესაც ცხოვრებასთან კავშირი არ გაგვიწყვეტია და ძმათა ჭირსა და ლხინს იზიარებ.

მისტიკურ-რეაქციონური მიმართულება მიიღო აგრეთვე იმ დროის გერმანულმა ლიტერატურამ (იხ. ამის შესახებ ჰენრიხ ჰეინეს „სარწმუნოებისა და ფილოსოფიის ისტორია გერმანიაში" და „რომანტიული სკოლა"). რეაქციამ მოჰკლა იმედები და სასოწარკვეთილი საზოგადოება რეალური ცხოვრების უარყოფაში და მისტიკურ მჭვრეტელობაში ეძებდა ხსნას. და ეს მიმართულება ისე ღონიერი იყო, რომ თავის მორევში ბევრი ნიჭიერი მწერალი ჩაითრია, მაგალითად, ძმანი შლეგელნი, შელლინგი, ლიუდვიკ-ტიკი, ნოვალისი და სხ. ცოტა გადურჩა მის ტალღას და მათ შორის გოეტე, უდიდესი ხელოვანი მწერალი და მოაზრე.

ამ მოძრაობის ისტორიას დაწვრილებით არ შევეხები. ვიტყვი მხოლოდ, რომ ცხოვრების უარყოფისა, მისტიციზმისა და განდეგილობის წარმოშობას—რეაქციამ შეუწყო ხელი.

ვასილ წერეთელი.

ხვეწილ ქრისტიანების და ამ მიზნით ვითომ საბჭო თხოულობდეს მათთვის საკუთრების უფლების დამკვიდრებას; 2) ვითომ სოხუმის ოლქის ცალკე გუბერნიად გადაკეთების შუამდგომლობაში აღნიშნული იყოს ზუგდიდის მაზრის შემოერთების თხოვნა; 3) ვითომ სათათრეთის ქვეშევრდომ ქრისტიანების უფლების აღდგენის შესახებ მოხსენებაში ხმარებული იყოს ისეთი შენიშვნები, რომლებიც მეზობელ ერთვნებათა თავმოყვარეობას შეეხებოდეს, რამაც გამოიწვია წინააღმდეგობა ზოგიერთების მხრით.

ამ განცხადების გამო საქმის გამოსარკვევად არჩეულ იქმნა 14 დეკემბერს 1915 წ. კომისსია ხუთ ხმოსნისაგან, რომელთაც მინდობილი ჰქონდა ამ საქმის გარემოების დაწვრილებით შესწავლა და თავიანთ აზრის საბჭოსათვის მოხსენება ერთ მის უახლოეს სხდომაზედ.

ამ კომისსიამ განიხილა ქალაქის შუამდგომლობანი, რომელთაც ეხებოდა აღძრული პოლემიკა, გაარჩია საქმე და შემდეგი დასკვნა გამოიტანა.

II. 2-ს ნოემბერს 1915 წ. ქ. სოხუმის საბჭომ დაადგინა აღიძრას უმთავრესს კავკასიის მთავრობასთან დეპუტაციის წარდგენით შემდეგი შუამდგომლობანი:

1. სოხუმის ოლქის გადაკეთება გუბერნიით.

2. სოხუმში საოლქო სამსაჯულოს დაარსება.

3. სათათრეთის ქვეშევრდომ ქრისტიანებისათვის სამსაჯულოში
უფლების დაცვის აღდგენის შესახებ.

II. კომისია ამტკიცებს, რომ სოხუმის ოლქის გუბერნიად გადაკეთების შუამდგომლობაში არ არის ნახსენები ზუგდიდის მაზრის შემოერთება; ამის შესახებ არც საბჭოსგან იყო მონდობილება და არც დეპუტაციას აღუძრავს ეს კითხვა.

III. მხოლოდ საოლქო სამსაჯულოს დაარსების შუამდგომლობაში არის ნახსენები ზუგდიდის მაზრა, მაგრამ აქ შემოერთებას კი არ ეხება კითხვა, არამედ საოლქო სამსაჯულოს გავლენის გავრცელების მოსაზღვრე რაიონებში.

IV. სათათრეთის ქვეშევრდომ ქრისტიანების უფლებათა შესახებ მოხსენებაში, თუმცა გაკვრით არის ნახსენები მათი უფლების შეზღუდვის გადასინჯვის თხოვნა, მაგრამ მართლაც რო გაუქმებულ იქმნას 2-თებერვლის 1915 წ. კანონი, რომელსაც ეხება მოხსენება, ეს მაინც ვერ მისცემდა სათათრეთის ქვეშევრდომთ მიწის შეძენის უფლებას, რადგანაც ეს უფლება მათ აქამდისაც აკრძალული ჰქონდათ.

V. ამ სათათრეთის ქვეშევრდომთა უფლების შესახებ თხოვნაში ისეთი სიტყვებია, ზოგიერთ ადგილას ნახმარი, რომ მართლაც რჩება შთაბეჭდილება, ვითომ ერთი ერის კარგი მხარეების განმარტებით თითქოს სხვა მეზობლების ღირსებას ეხებოდეს, მაგრამ დეპუტაციას განზრახვას არ შეადგენდა ვინმეს ცუდათ მოხსენება.

VI. შუამდგომლობანის დაწვრილებითი მოტივები საბჭოს არ განუხილავს, რადგანაც სიჩქარით მოხდა დეპუტაციის გამგზავრება.

აღსანიშნავია რა კომისია ამ გარემოებას, წინადადებას აძლევს საბჭოს მომავლისათვის ყოველი შუამდგომლობა წინასწარ განხილულ იქნეს საბჭოში..

ევდოშვილი და შალიკაშვილი.

შემთხვევა მომეცა სოხუმში მენახა ჩვენი დაავადმყოფებული მგოსანი იროდიონ ევდოშვილი და ნიჭიერი რეჟისორი შალიკაშვილი.

იროდიონი სუსტადაა, ხშირად სუნთქავს, დიდხანს ჯდომა არ შეუძლიან, ხმამაღლა და ხანგრძლივი ლაპარაკი მისთვის შეუძლებელია. შარშან თბილისში ყოფნის დროს თავის თავს ყურადღებას საკმარისად ვერ აქცევდა თურმე; ამიტომაც მთლად დასუსტებული ამ ზამთარს კიდევ წავიდა სოხუმს. ახლა კი უკეთობა ეტყობა. ხანდახან წამოდგება და გაივლ გამოივლის ხოლმე. ავი სენის და მედომარეობის მიუხედავად მას ძველებურადვე აინტერესებს თავისი სამშობლოს ჭირ-ვარამი და კეთილდღეობა, ქართულ გაზეთ-წიგნებს ყურადღებას არ აკლებს.

იროდიონს არ ვიცნობდი წინად და მისმა გაცნობამ სიამოვნება და მისდამი პატივისცემა მაგრძნობინა.

ვ. შალიკაშვილი სამი კვირაა ლოგინში წევს. რაც ჩავწექი, მეუბნებოდა, თავს უკეთ ვგრძნობ და სიცხესაც უკლია. წინად სიცხე 38 გრადუსამდე ადიოდა ეს რამდენიმე დღეა, რაც თითქმის ნორმალურზე ჩამოსულა. ახველებს, გამხდარია, მაგრამ კარგად გამოიყურება ესაა მოწყენილობას გრძნობს, რადგან ოთხი დღის განმავლობაში მასთან არავინ მისულა გამოსახმაურებლად. შალიკაშვილი დიდი მადლობელია მაქის ქართველობისა, დიდი პატრონობა გამიწიესო და ახლაც მეხმარებიანო. მაგრამ ეს დახმარება საკმარისი არ არის.

ორივე ავადმყოფი ხელმოკლეობას ჰგრძნობს. საჭიროა დახმარება ქართველი საზოგადოების. ვ. შალიკაშვილს სენი პირველ სტადიაში აქვს, არც სისხლი ამოსდის, მისი მორჩენა ადვილია და ჩვენც არ უნდა დავიშუროთ ჩვენი წვლილი მისი გამორჩენისთვის ყოველივე დაბრკოლება ავადმყოფობას პროგრესიულად გაზრდის და ჩვენვე ვიზარალებთ, თუ მას დროზე არ მოუვლით. რაც მალე დავეხმარებით მით უფრო ადრე დაუბრუნდება ქართულ სცენას. ყველა მისი ამხანაგების ვალია მისთვის ზრუნვა. საჭიროა პროვინციებში და ადგილობრივ თბილისშიაც გაიმართოს ქართული წარმოდგენები ამის სასარგებლოდ.

ჩემის აზრით ურიგო არ იქნებოდა, თუ ერთი ორი კაცი მიიღებდა კომისიის სახით ამ ორივეს მატერიალურ მხარეზე ზრუნვას. იგი ჩაიბარებდა შეგროვილ ფულს და რეგულიარულად მიაწვდიდა ავადმყოფს. ადამიანის გარდაცვალებისას დამმარხველ კომიტეტებს ვაარსებთ ხოლმე, დიდ ზეიმს ვიწყებთ და დიდის ამბით ვასაფლავებთ ხოლმე. ამას ის არ ემჯობინება სიცოცხლეშივე მოვუაროთ და სიკვდილამდე არ მივიყვანოთ? მერე თავში ცემასა და ვაი უშველებელს ისა სჯობიან ეხლავე მოვეხმაროთ. ვიმეორებ დაყოვნება შეუძლებელია. „ს. ფ“.

ნ. დურნოვოს წერილი

„პეტროგრადსკი ვედომ.“-ში (№ 24) დაბეჭდილია ნ. დურნოვოს საგულისხმო წერილი საეკლესიო საკითხებზე. მოგვყავს სრულიად:

„ჩვენ დიდიხანია წინდაწინვე ვგრძნობდით და არა ერთხელ დაგვიწერია, რომ როდესაც ეკლესიის ფეხქვეშ გათელილ უფლების აღდგენაზე აღიძრება ლაპარაკი, მას წინ აღუდგება ისეთი ხალხი, რომელთაც არც ეკლესიის ისტორიისა გაეგებათ რამე, არც ღვთიური კანონები იციან, არც საეკლესიო წესდებანი და ხმა მაღლა მოჰყვებიან ლაპარაკს: „ეკლესია განსაცდელშია!... იხსენით სარწმუნოება და ეკლესია?“ მათ ხმას მისცემენ ეკლესიისა და სახელმწიფოს დაქირავებულნი, რომელნიც საეკლესიო და ლიტაკთა ქონება დაუნიავებიათ.

ინუგეშეთ ცრუ მემარჯვენენო (მემარჯვენე იდეალისტებს, რომელთაც არ დავიწყნიათ ღმერთი, მეფე და რუსეთი, მათს რიცხვში არა ვთვლი).

პეტროგრადის მიტროპოლიტი ლიუტერანთა რეფორმებს კი არა წმინდა მართლმადიდებელ ეკლესიას ესარჩლება. მისი გონებრივ თვალი მიპყრობილია კონსტანტინოპოლის მართლმადიდებელ აღმოსავლეთის ეკლესიაზე, საიდანაც აღმობრწყინდა ჩვენი ეკლესიის სინათლეც.

იქნება თქვენ, მაცდურო და გაიძვერა მოსყიდულნო, ხელს აპოტინებთ ეკლესიის განძსაკენ და ჰფიქრობთ, საბერძნეთისა, რუმინეთისა, სტაროობრიადცების ეკლესიები ლიუტერის მწვალებლობაზეა აგებული? ნამდვილმა მართალმა ხალხმა, ვინც კი ღვთის ეკლესიას ემყარება, კარგად იცის, რომ, თუ ეკლესიის კანონიური წესი არ აღადგინეს, თუ ეკლესიაში კვლავ ქაოსი იმეფებს და ეკლესიის განძს მოსყიდული ხალხი დაუწყებს პოტინს, არა თუ ეკლესია. თვითონ სახელმწიფოც განსაცდელში ჩავარდება.

ჩვენ კარგად გიცნობთ თქვენ, ბ-ნნო ცრუ-მართალნო, ვიცნობთ თქვენს ხელმძღვანელებს, თუნდაც ანაფორით შემოსილთ, რომელთაც დიდი ხანია ღმერთი დაჰვიწყებიათ და მთელი სიცოცხლე ოქროს თაყვანებაში გაუტარებიათ.

ისინი საეკლესიო გემის მახლობლად სდგანან და მის მმართველობის ხელში ჩაგდებაზე ოცნებობენ. რომლისამე მათზე ცალკე მოვილაპარაკებთ და გვარებსაც დავასახელებთ. ეს—ძველი ნაცნობები ბრძანდებიან, რომელთაც ჯერ კიდევ 1906 წელს გამოაჩინეს მტრობა საქართველოს ჯვარის მტვირთველ ეკლესიის კანონიურ უფლების აღდგენის წინააღმდეგ.

მეუფე პიტირიმი მოსკოვის პატრიარქთა ერთ-ერთის წოდებას ატარებს და, ადრე თუ გვიან, იგი სათავეში მოექცევა პეტრე I-ლის მიერ უფლება-აყრილ, უთაოდ დარჩენილ ეკლესიას.

შეწევნითა ღვთისათა და საყვარელ თვითმპყრობელ ნიკოლოზ მე-II-ის კეთილმოწყალებით იგი (პიტირიმი) ეკლესიის გემს მყუდრო ნავთსადგურამდე მიაცილებს და ეკლესიაც თავისუფლად ამოისუნთქებს: გაჰქრება მწვალებლობა და მწყემსნი დაამკვიდრებენ მრევლში მშვიდობასა და სიყვარულს და არავითარი განცალკევება მრევლსა და სამწყსოს შორის აღარ იქნება, აღარ იქნებიან ლატაკნიც, რადგანაც საეკლესიო ქველმოქმედება განვითარდება და მას ამ საქმეში ხელს არავინ შეუშლის.

ნ. დურნოვო.

დასავლეთ საქართველოში.

გასული 1915 წ. მრავალმხრივ იყო საყურადღებო და ღირს აღსანიშნავი იმერეთის ცხოვრებაში. გასულ 1915 წ. ომის ახლად მოვლენილ პირობათა მეოხებით პროვინციის ცხოვრებას საკმაოდ ეცვალა ფერი. გაჭირვებამ, რომელიც დასავლეთ საქართველოს მუდმივი სტუმარი შეიქმნა, სოფლის ხალხი საქმიანობის გზაზე დააყენა.

შარშან მწარე განსაცდელთან ერთად სოფლის ხალხის ცხოვრებაში ბევრი რამ მოხდა სასიამოვნო და იმედის მომგვრელი—სახელდობრ: 1915 წ. დაიხსნა იმერეთისკენ ახალი ტიპის პირველ და წყებითი უმაღლესი სასწავლებლები, რომელთა რიცხვი დღითი—დღე მრავლდება.

გასულ წელს სოფელში ცხოვრების არაჩვეულებრივად გაძვირებამ, სოფლის ხალხს ყურადღება მიაქცევია კოოპერაციისადმი და მისი უტყუარი სარგებლობა შეაგნებია.

პროვინციის მიმომხილველს თამამად შეუძლიან გასული წელი იმერეთის ცხოვრებაში აღნიშნოს კოოპერაციის მოძრაობა განვითარების ხანად. თვით მიყრუებულ სოფლებშიაც კი შეიგნეს და თავგასულ სპეკულიანტების ასალაგმავად დაარსეს მომხმარებელი დუქნები, რომლის რიცხვიც ყოველდღე იზრდება, საყურადღებოა აგრეთვე საკითხის აღძვრა რკინის გზების გაყვანის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს, თანამედროვე ცხოვრებაში რკინის გზებს ამაზე განმარტება ზედმეტად მიგვაჩნია. რკინის გზების გაყვანის საკითხია აღძრული: ქუთაისიდან ხონამდე, ხონიდან სამტრედიამდე და უგზობით მოწყვეტილ რაჭისკენ, რის განხორციელებაც დიდ მომავალს უქადის იმერეთის ვაჭრობა—მრეწველობის, თუ კულტურულად წინსვლის განვითარებას.

შარშანვე დაედვა საძირკველი ქ. ქუთაისში კავკასიის სააბრეშუმო სადგურის განყოფილების შენობას, რომელიც ბევრ რასმეს ჰპირდება დასავლეთ საქართველოს მეაბრეშუმეობას.

მთავრობის ხალხისადმი მზრუნველობის მხრივ საყურადღებოა განსვენებული ვორონცოვის 26 თიბათვის სასოფლო რეფორმა—კანონი; რომელიც არსებითი განხილვის დროს დიდ საგანძურს არ წარმოადგენს, მაგრამ ერთფეროვნად მიმდინარე ჩვენი სოფლის ცხოვრებისთვის, მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს. ხსენებული კანონი ზოგან უკვე გატარდა ცხოვრებაში და ზოგან კიდევ ახლა ღებულობენ, მაგრამ უნდა ავღნიშნოთ, რომ ცხოვრების გაუმჯობესობისთვის მარტო ქაღალდზე, დაწერილ კანონის შემოღება არ კმარა, არამედ საჭიროა, კანონს ჰყავდეს ღირსეული ხელმძღვანელი და სოფლის ჭირვარამის ზედმიწევნით მცოდნე გულ-შემატკივარი. დიახ წელს დასავლეთ საქართველოს დიდი სიფხიზლე დაეტყო, ჩვენ შევნიშნეთ ხალხის თვით ამოქმედება—მოძრაობა, მაგრამ სწორედ ამ ამოქმედების დროს მას ჰყვანდა მრჩევლები, რაიც ჩვენი ცოდნას მოკლებულ სოფლელებისთვის აუცილებელია. ამიტომაც იყო, რომ გასულ წელს ბევრ გადადგმულ ნაბიჯში შეცდომა მოუვიდათ მათ. რასაკვირველია ეს არ მოხდებოდა. მაშინ, რომ ჩვენი სოფლის მოწინავე ნაწილი. ინტელიგენცია თავის მოვალეობას გარკვეულ თეორიულ ფაქტებით არ საზღვრავდეს და სოფლელ გლეხს ისე არ გაურბოდეს, როგორც ცხვარი მგელს.

შიშიანობის მიზეზი, რომელიც ეხლაც სუფევს იმერეთში, ყველამ უწყის, რომ მეურნეობის არ ცოდნა—მეურნეობის ძველი წესით წარმოებაა.

მახსოვს, ერთხელ ერთ მეზობელს ყანა სრულიად გაუფუჭდა, იმ დროს, როცა სოფელში მშვენიერი ამინდი იყო, ჭირნახულისთვის. შემდეგ, როგორც სოფლად შემოხვიდოდით ჩამოსულ მეურნის წყალობით გამოირკვა ყანის გაფუჭების მიზეზი ყოფილიყო, ცუდი სათესლე და მიწის ხეირიანად არ დამუშავება ასეთი მაგალითები ძალიან ბევრია, რომლის მოსპობასაც მხოლოდ ერთად ერთი სამეურნეო ორგანიზაციის მოხდენა შესძლებს.

საბედნიეროდ ამ ბოლო ხანს იმერეთში მეურნეობის გაუმჯობესებასაც სათანადო ყურადღება, მიექცა. ბევრ ადგილას დაარსდა საავრანომიო პუნკტები რომლის მოვალეობაც არის სოფლის ხალხს მეურნეობის განვითარებაში ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიოს. დღეს, მიუხედავად იმისა, რომ, სოფელი ყოველმხრივ დიდ გაჭირვებას და შევიწროებას განიცდის, სიმძიმეს თითქმის არაფრად აგდებს და განაგრძობს გამოფხიზლება-მოძრაობას. გვიმეორებთ, რომ სწორედ ამ დროს ინტელიგენციის ვალია გვერდში ამოუდგეს სოფლელს და გარდასადგმელ ნაბიჯის შესახებ განმარტება—დარიგება მისცეს, რაიც თავდები იქნება სოფლის ხალხის გაჭირვებისგან გამოხსნისა და მათი უკეთეს გზაზე დაყენებისა.

ი. ჯიხაიშვილი.

ეკლესიის გარშემო.

ჩვენი ეკლესიები ზომაზე მეტად არიან დაბეგრული. მთელი წლის ყველა საუფლო დღესასწაულები და სხვა ღირსშესანიშნავი უქმი დღეები უწმინდეს სინოდს ანუსხული აქვს და თითოეულ მათგანზე მიპირებულია ამა თუ იმ დაწესებულებისათვის ყულაბით ფულის შეკრება. ამგვარმა განკარგულებამ, რომელიც დაუყონებლივ სისრულეში მოყავს ყველა ეკკრებულს, მლოცველებს პირდაპირ თავი მოაბეზრა. გალატაკებული სოფლელი ორ შაბათიდან მოკიდებული შაბათ საღამომდის მუშაობისაგან ოფლში იწურება; კვირას, ავად არის თუ კარგად, როგორც არის ისვენებს და ეკლესიისაკენ მიეშურება წირვა-ლოცვის მოსასმენად და სინდისის დასამშვიდებლად, მაგრ

სინდისის დამშვიდების განი ლიერ კმაყოფილებას საწყალი სოფ გლეხი, როდესაც ბებით ხელში ეკლესიის მსახ ში ამოუდგება და არ მორდება, ს დის რიმე შეწირულებას ყულაბში ჩააგდებს. ასეთი შეწირულება წელი ში ერთხელ და ორჯერ რომ ხდებოდ კიდევ არაფერი იქნებოდა, მაგრამ ყოვ წირვაზე მისი განმეორება წარმოუდ ნელია და მძიმე შთაბეჭდილებას ახდ მლოცველებზე. სამართლიანად ამბობ ხოლმე მლოცველები: „ჩვენი ეკლე თავზე გვენგრევა და საღდაც, ცხრა მ იქით, გვაშენებიებენ სხვისთვის ეკლე სიასო“.

ასეთმა დაჟინებულმა ფულის თხოვ წირვა-ლოცვაზედაც აუცრუა გული ხალ და თავის საკუთარი ეკ. შეწირულობ დაც. ასე გასინჯეთ ბევრს ჩვენს ეკ ლესიისა და სებისკვერისათვის ვერ უშოვ საკუთარი თანხიდან ფული და შიმში საგან გულწასულ მრევლს შელიტ მღვდელი და სტაროსტა ხედიშისა სებისკვერის ფქვილს. გვეკონა ასეთ რიბ ეკლესიებს უმაღლესი სასულ მთავრობა დახმარებას აღმოუჩენდა, რამ დახმარების ნაცვლად უწმინდესი ნოდისაგან ბრძანებაა მოსული, რომ ლესიებს, რაც რომ შავი ხვილენდის ლი ჰქონდეს შეკრიბეთ და ხაზინაში რადგინეთ, როგორც შეწირული ლიო. დახმარებაც სწორედ ასეთი უნდა

მ. ბუჩიძე.

რედაქტორ-გამომც. ი. ციხის

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან — დილის — 5 ს. 50
„ — საღამ.— 6 ს. 57
ბათომიდან — დღისით — 1 ს. 25
„ — ღამის — 2 ს. 23
ფოთიდან — დილის —10 ს. 8
ტყიბულიდან—საღამოს — 7 ს. 39
შორაპნიდან — დილის — 9 ს. 18

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ—დილის — 11 ს. 55
„ — ღამის — 1 ს. 7
ბათომისაკენ — დღისით — 5 ს. 30 —
„ — დილის — 4 ს. 27
ფოთისკენ —დღისით — 4 ს. 27
ტყიბულისკენ— დილის — 6 ს. 20
შორაპნისაკენ—დღით. — 5 ს. —

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
მიღებულია დიდძალი
საპნის გასაკეთებელი „სოდ
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

სიფილისი.

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. დე ვეზის პრეპარატის საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებული საშუალებების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ. სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამავენ მთელს ორგანიზმს საშიშარ შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გუმსა და შხამს, რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების მხედველობის და სმენის სისუსტეს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და ამორებს მას ხერხემლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. სიფარშივის თავიდან ასაცდენათ პრეპარატი ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის“ განყოფილებაში ქუთაისში ა. ნ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში. გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 5 მან. წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ. (წლიური)